



ძვირფასო მკითხველებო!

ეს გახლავთ ელექტრონული ბიულეტენი, რომელსაც მედიის განვითარების ბალტიის ცენტრი(BCME) ამზადებს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების დამოუკიდებელი მედიის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მასში, თავს ვუყრით ყველა საგრანტო განაცხადს და ასევე, სხვა ფინანსურ შესაძლებლობებს უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ბელორუსის მედიებისათვის.

გვსურს, რომ ამ ბიულეტენმა შეგიძლუპუქოთ დონორების დაფინანსებაზე წვდომა, გაგიმარტივოთ ინფორმაციის მოძიება და ფინანსების მოკრება/ფანდრაიზინგი გახადოს უფრო ეფექტური. კატეგორიაში „დაფინანსების სიახლეები“ იპოვით უახლეს საგრანტო განაცხადებს.

BCME იმედოვნებს, რომ ეს პუბლიკაცია შეიტანს საკუთარ წვლილს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედიებისა და დონორების დიალოგში, რეგიონის მედია ლანდშაპტის მეტი მრავალფეროვნებისთვის.

თუ კი გაქვთ სურვილები, რეკომენდაციები ან უბრალოდ შთაბეჭდილებები ბიულეტენთან დაკავშირებით, გაგვიზიარეთ მისამართზე: info@baltic.media

ვეცდებით მეტს თქვენთვის !

პატივისცემით,

Funds4Media ბიულეტენის შემდგენები

1. Ocean Plastic Innovation-ის კონკურსი მონაცემთა ვიზუალიზაციის სპეციალისტებისათვის
2. დაიწყო განაცხადების მიღება პროექტ „ტრანსსასაზღვრო ჟურნალისტიკის“ VII სეზონისათვის
3. სტიპენდიები უსაფრთხოების ტრენინგების გავლისათვის
4. Freelance Investigative Reporters and Editors (FIRE): Investigative Stories Program
5. The Digital Communication Network Program 2019
6. Logan Nonfiction-ის სტიპენდია
7. სემინარი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის აღმოსავლეთ ევროპიდან და ცენტრალური აზიიდან - M100 Young European Journalists Workshop 2019
8. გამოცხადდა განაცხადების მიღება ფრიდრიხ ებერტის ფონდის პროგრამაზე „დიალოგი აღმოსავლეთ ევროპა“
9. საგამოძიებო ჟურნალისტიკის საზაფხულო სკოლის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ბალტიიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან
10. Adami Tandem კონკურსი მაუწყებლებისა და სატელევიზიო ჟურნალისტებისათვის
11. The Globe Post კონკურსი ჟურნალისტებისათვის
12. National Geographic გრანტები მიგრაციის პროექტებისთვის
13. მინი გრანტების კონკურსი საერთაშორისო გამოძიებებისათვის
14. სტაჟირება ჟურნალისტებისათვის ევროკომისიაში (ბრიუსელი)
15. საქსონიის მედიაწიგნიერების ფონდის სემინარი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის ლეიბციგში
16. საერთაშორისო შემოქმედებითი კონკურსი Open Eurasia
17. სახელოსნო სოც. ქსელებისთვის ვიდეო რგოლების შესაქმნელად
18. ესსეების და ბლოგების კონკურსი “პენიტენციური და პრობაციის სისტემა დღეს“
19. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აცხადებს საგრანტო კონკურსს, „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ პროგრამის ფარგლებში
20. ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი

1. Ocean Plastic Innovation-ის კონკურსი მონაცემთა ვიზუალიზაციის სპეციალისტებისათვის

National Geographic და Sky Ocean Ventures იწყებენ კონკურსს Ocean Plastic Innovation, რომელიც მონაცემთა ვიზუალიზაციის ნომინაციასაც მოიცავს. მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სპეციალისტებს ამ სფეროდან, როგორც გუნდურად ისე ინდივიდუალურად. მათ უნდა შექმნან ვიზუალიზაცია ან ინფოგრაფიკა, რომელიც პლასტიკის ნარჩენების გავრცელების და დაბინძურებული გარემოს მონაცემებს დაეფუძნება. ორგანიზატორები აირჩევენ ოთხ გუნდს, რომელთაც ექნებათ პროექტების დასრულების საშუალება National Geographic Partner-ის ინფოგრაფიკის შემქმნელი გუნდის დახმარებით. გამარჯვებულები მიიღებენ 10 000 დოლარს, ნამუშევარი კი შესაძლოა National Geographic ელ. გამოცემაში დაიბეჭდოს.

დეტალები: <https://www.nationalgeographic.org/funding-opportunities/innovation-challenges/plastic/dataviz>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 11 ივნისი 2019 წ.

2. დაიწყო განაცხადების მიღება პროექტ „ტრანსსასაზღვრო ჟურნალისტიკის“ VII სეზონისათვის

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლიათ ჟურნალისტებსა და ბლოგერებს 3-დან 20 წლამდე რუსეთიდან, უკრაინიდან, ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის, ცენტრალური აზიის და კავკასიის ქვეყნებიდან. პროგრამა „პერსპექტივები“ Robert Bosch Stiftung, Fritt Ord Foundation და Thomson Reuters Foundation მხარდაჭერით წელსაც განახორციელებს სამენტორო პროექტს „ტრანსსასაზღვრო ჟურნალისტიკა“. მის ფარგლებში ჟურნალისტებს სხვადასხვა ქვეყნიდან საშუალება ექნებათ იმუშავონ ერთობლივ პროექტებზე. პროგრამას წელს ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია უმასპინძლებს. შერჩეულ კანდიდატებს პროფესიონალური მენტორინგი ჩაუტარდებათ. ორგანიზატორები ფარავენ პროგრამაში მონაწილეობის ხარჯებს, ხანმოკლე მოკვლევით მოგზაურობებს და ტრანსსასაზღვრო პროექტების განხორციელების თანმდევ ხარჯებს.

ჟურნალისტური პროექტის იდეა უნდა იყოს აქტუალური რამდენიმე ქვეყნისათვის.

სამუშაო ენა: რუსული

დეტალები: <http://www.perspektivy.media/ru/whats-happening/i/?id=fc0d27cf-7ea8-4044-aea8-1dcac7b9f6ef>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 12 ივნისი 2019 წ.

3. სტიპენდიები უსაფრთხოების ტრენინგების გავლისათვის

ამ გრანტის მისაღებად განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს და დოკუმენტური ფილმების შემქმნელებს, რომელთა საქმიანობა ეძღვნება ადამიანის უფლებების დარღვევის თემას.

კონკურსს ატარებენ Canadian Journalism Forum on Violence და Trauma (Portenier Human Rights Bursary), რომელსაც აფინანსებს კინემატოგრაფისტი ჟოზელ პორტენიერი. განაცხადების შეტანა შეუძლია იათ როგორც გამოცდილ ისე დამწყებ ფრილანსერებს მთელი მსოფლიოდან.

პრეტენდენტებმა უნდა დაასაბუთონ ადამიანის უფლებების თემით დაინტერესება და წარმოადგინონ თემასთან დაკავშირებული პროექტი.

კონკურსის გამარჯვებული მიიღებს პრიზს 3 000 კანადური დოლარის ოდენობით უსაფრთხოების ტრენინგის გავლისათვის.

დეტალები: <http://www.journalismforum.ca/home/fff-1-in-progress/portenier-under-constuction>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 12 ივნისი 2019 წ.

4. Freelance Investigative Reporters and Editors (FIRE): Investigative Stories Program

FIRE აცხადებს ვირტუალური რედაქციის მორიგ რაუნდს, რომლის ფარგლებშიც დამოუკიდებელ ჟურნალისტებს გაეწევთ კონსულტაციები ჟურნალისტური გამოძიების შემუშავებისათვის. ასევე, მიეცემათ საშუალება მიიღონ 12 500 დოლარის ოდენობის გრანტები.

დეტალები: <http://www.firenewsroom.org/program/guidelines-and-application?fbclid=IwAR0fqvRvepVqC9OFYSFvBA1nTckh4Nt1SC3eF60aePwhjW4hJAj2gByGQug>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 12 ივნისი 2019 წ.

5. The Digital Communication Network Program 2019

გამოცხადდა კონკურსი გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის, რომლის მიზანია: კანდიდატებმა შეისწავლონ ციფრული ტექნოლოგიების გავლენა ჩვენი ცხოვრების წესზე, მას მედიის, კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციების და საზოგადოებრივი მოძრაობების კუთხით.

ღია კონკურსის წესით შეირჩევა 16 მონაწილე. ისინი ერთთვიანი პროფესიული პროგრამის ფარგლებში გაემგზავრებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, 11 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე პერიოდში. მონაწილე კანდიდატები უნდა იყონ ჟურნალისტები ან კომუნიკაციის ექსპერტები. უნდა მუშაობდნენ მედია ორგანიზაციებისათვის, საკომუნიკაციო კომპანიებისათვის ან არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

დეტალები: https://worldlearninginnovanddev.wufoo.com/forms/r1kcrxvq0inpk6k/?fbclid=IwAR3Q4h3ao_dOZWQsJ_K0UxwjSRjmnQVRM-NCzoKL7NHVkcQON_fRriqDbiMs

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივნისი 2019 წ.

6. Logan Nonfiction-ის სტიპენდია

Logan Nonfiction Program აცხადებს განაცხადების მიღებას სასტიპენდიო პროგრამაზე, რომელიც წარიმართება ოქტომბრიდან დეკემბრამდე ქერი რენსელერვილის სახელობის გლობალური კეთილდღეობის ინსტიტუტში, ნიუ იორკის შტატი.

აღნიშნულ სასტიპენდიო პროგრამაზე განაცხადის წარდგენა შეუძლიათ: ჟურნალისტებს, დოკუმენტური ფილმების ავტორებს, ფოტოგრაფებსა და მულტუმედია კონტენტის შემქმნელებს, რომლებიც მუშაობენ მოცულობით სიღრმისეულ დოკუმენტურ პროექტებზე.

პროგრამა მიმართულია დემოკრატიის გაძლიერებისაკენ დამოუკიდებელი ჟურნალისტური გამოძიებებს მხარდაჭერის გზით. კანდიდატებმა უნდა წარადგინონ განაცხადი და სოციალური მნიშვნელობის პროექტის თემატიკა, რომელიც კავშირში იქნება პოლიტიკასთან, ჯადაცვასთან, ეკოლოგიასთან, მართლმსაჯულებასა და ადამიანის უფლებებთან. ორგანიზატორები უზრუნველყოფენ საცხოვრებელს, კვებას და საკონსულტაციო მხარდაჭერას 10 კვირამდე ვადით.

იხილეთ დაწვრილებით: <https://careyinstitute.org/programs/nonfiction/nonfiction-fellowship/application-guidelines>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივნისი 2019 წ.

7. სემინარი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის აღმოსავლეთ ევროპიდან და ცენტრალური აზიიდან - M100 Young European Journalists Workshop 2019

სემინარში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ ჟურნალისტებს 18-დან 26 წლამდე, ევროპიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, ბელორუსი, სომხეთი, აზერბაიჯანი) ასევე, რუსეთიდან.

ევროპელი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის სემინარი M100, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და DW-ს მხარდაჭერით გაიმართება 9-18 სექტემბერს პოტსდამსა და ბერლინში, გერმანია. თემა: „კითხვა ციფრულ სამყაროში- ინოვაციური ჟურნალისტიკა“.

პროგრამა შეიცავს როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ სწავლებებს. დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა უნდა წარადგინონ პროექტის იდეა, რომელზეც ისურვებდნენ მუშაობას.

იხილეთ დაწვრილებით: <http://www.m100potsdam.org/en/m100/m100-young-european-journalists/application>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 16 ივნისი 2019 წ.

8. გამოცხადდა განაცხადების მიღება ფრიდრიხ ებერტის ფონდის პროგრამაზე „დიალოგი აღმოსავლეთ ევროპა“

ფრიდრიხ ებერტის ფონდის რეგიონული ოფისი გიწვევთ სემინარში მონაწილეობის მისაღებად. სემინარი ეძღვნება მედიაში სოციალური საკითხების გაშუქებას. ის ჩატარდება 23-27 ივლისს ოდესაში, უკრაინა. განაცხადის შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტებს, ბლოგერებს, მინიმუმ 2 წლიანი მუშაობის გამოცდილებით. აუცილებელია განმცხადებლები იყონ ევროპის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ან რუსეთის მოქალაქეები.

პროგრამის მზანია: ჟურნალისტებმა, რომლებიც მუშაობენ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის მიმართულებით, აიმაღლონ პროფესიული უნარები. ასევე, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და რუსეთს შორის უნარების და გამოცდილების თავისუფალი გაცვლის ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრები ჟურნალისტებთან და სოციალური და შრომითი პოლიტიკის ექსპერტებთან. პროგრამის ენები: რუსული და ინგლისური. შერჩეულ მონაწილეებს ორგანიზატორები დაუფარავენ ყველა ხარჯს დაკავშირებულს ტრენინგთან.

დეტალები: http://fes-dee.org/n/cms/25/?tx_news_pi1%5Bnews%5D=433&tx_news_pi1%5Bcontroller%5D=News&tx_news_pi1%5Baction%5D=detail&cHash=bfe80808697aa75514170a502e04a0b9

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 16 ივნისი 2019 წ.

9. საგამოძიებო ჟურნალისტიკის საზაფხულო სკოლის სტიპენდიები ჟურნალისტებისათვის ბალტიიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან

საზაფხულო სკოლის სტიპენდიის მოპოვებისათვის განაცხადების გაგზავნა შეუძლიათ ჟურნალისტებს ბალტიისპირეთიდან და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან. საგამოძიებო ჟურნალისტიკის საზაფხულო სკოლა გაიმართება 14-17 აგვისტოს რიგაში, ლატვია. სკოლა ორგანიზებულია მედია კვლევების ცენტრის მიერ SSE Riga.

ტრენინგის თემებია: რედაქტირება, რადიო და პოდკასტები, ვიზუალიზაცია, ძიება ინტერნეტში, კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის თემების გაშუქება და ა. შ. ძირითადი მომხსენებელი – ჟურნალისტი ქეროლ კადვალადრი, Cambridge Analytical საქმიანობის გამოძიების ავტორი.

სწავლების საფასური 350 ევროს შეადგენს. მონაწილეებს ბალტიისპირეთისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან შეუძლიათ შეავსონ განაცხადი სტიპენდიის მოსაპოვებლად, რომელიც ფარავს სწავლების და ადგილზე ცხოვრების ხარჯებს.

იხილეთ დაწვრილებით: <https://www.media-summerschool.lv>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 21 ივნისი 2019 წ.

10. Adami Tandem კონკურსი მაუწყებლებისა და სატელევიზიო ჟურნალისტებისათვის

ADAMI Media Prize აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში კულტურული მრავალფეროვნებისთვის აცხადებს კონკურსს სატელევიზიო ჟურნალისტებისა და მაუწყებლებისათვის. განაცხადის შეტანა შეუძლიათ ჟურნალისტების, რომლებიც აშუქებენ კულტურული მრავალფეროვნების თემებს.

დეტალები: https://www.adamimediaprize.eu/new-page-19?fbclid=IwAR2HAwDlm5tXg1yMQN-hDf-DpANlck8uKWK8iZYumZDMFI63keGqWmj_huw

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 24 ივნისი 2019 წ.

11. The Globe Post კოკურსი ჟურნალისტებისათვის

The Globe Post აწყობს კონკურსს ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის. განაცხადის შეტანა შეუძლავთ იათ დამწყებ ჟურნალისტებს და სტუდენტებს. მიიღება გამოუქვეყნებელი მასალები ინგლისურ ენაზე, რომლებიც ეძღვნება პრესის თავისუფლებას, ადამიანის უფლებებს, ტრანსსასაზღვრო პრობლემებს და ნებისმიერ სადავო და ნაკლებად გაშუქებულ საკითხებს. გამარჯვებული მიიღებს ფულად პრიზს 1 000 დოლარის ოდენობით.

დეტალები: <https://theglobepost.com/2019/05/03/globe-post-journalism-contest>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 30 ივნისი 2019 წ.

12. National Geographic გრანტები მიგრაციის პროექტებისთვის

National Geographic Society იწყებს განაცხადების მიღებას პროექტებზე ადამიანების მიგრაციის შესახებ. განაცხადის შეტანა შეუძლავთ იათ Storytelling-ის ოსტატებს, გარემოს დამცველებს, პედაგოგებსა და მკვლევარებს. პროექტებში უნდა იყოს მოთხრობილი თანამედროვე სამყაროში მიგრაციის მიზეზების და შედეგების შესახებ, ან თანამედროვე მიგრანტების ცხოვრების შესახებ-მათი მოგზაურობა და მიმღები საზოგადოება. ასევე განიხილება პროექტები, რომლის ფარგლებში მომზადდება სასწავლო რესურსები, სასწავლო გეგმები ან საიფორმაციო მასალები, მიმართული მიგრანტების გათვითცნობიერებაზე.

გრანტის საშუალო ზომა არ აღემატება 30 000 დოლარს.

დეტალები: <https://www.nationalgeographic.org/funding-opportunities/grants/what-we-fund/documenting-human-migrations>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 10 ივლისი 2019 წ.

13. მინი გრანტების კონკურსი საერთაშორისო გამოძიებებისათვის

Journalismfund.eu აცხადებს განაცხადების მიღებას ევროპის ტრანსსასაზღვრო გრანტის მისაღებად, პროფესიონალი ჟურნალისტების მხარდასაჭერად. მონაწილეობისათვის საჭიროა იდეა, რომელიც შეეხება ევროპის საკითხებზე ტრანსსასაზღვრო გამოძიებას და მოკვლევას. ისტორიები უნდა იყოს აქტუალური ევროპის სამიზნე ჯგუფებისათვის. გრანტის ოდენობა შეადგენს 195 000 ევროს. სულ დაფინანსდება 4 პროექტი.

დეტალები: <https://www.journalismfund.eu/european-cross-border-grants>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივლისი 2019 წ.

14. სტაჟირება ჟურნალისტებისათვის ევროკომისიაში (ბრიუსელი)

სტაჟირება ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისა და ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის 18-დან 30 წლამდე. 6-11 ოქტომბრამდე ბრიუსელში ევროკომისია გამართავს პროგრამას ჟურნალისტებისათვის, რომლის მიზანაც არის მონაწილე ქვეყნებში ევროკავშირის ღონისძიებების განხილვა. შერჩეულ კანდიდატებს ბრიუსელში მიიწვევენ. სტაჟირების დროს, მონაწილეებს შეეძლება დაესწრონ ტრენინგებს, იმუშაონ გამოცდილ ჟურნალისტებთან, ეწვიონ ევროკავშირის შტაბ-ბინას მედიის საკითხებში და ასევე სხვა დაწესებულებებს. მონაწილეებს მოეთხოვებათ - დაწერონ სტატია (400 - 1000 სიტყვა), გადაიღონ ვიდეო (2-3 წთ.). ვიდეო ან სტატია უნდა ასახავდეს იმ ღონისძიებებს ან პროექტებს, რომლებიც დაფინანსებულია რეგიონული განვითარების ევროპული ფონდის ან ერთიანობის ფონდის მიერ.

იხილეთ დაწვრილებით: <https://youth4regions.win>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 ივლისი 2019 წ.

15. საქსონიის მედიაწიგნიერების ფონდის სემინარი ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის ლეიბციგში

საქსონიის მედიაწიგნიერების ფონდი <http://www.ssm-mediendienstung.de> მართავს 10 დღიან სემინარს ახალგაზრდა ჟურნალისტებისათვის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. ამ უფასო სემინარში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა პლატფორმის, 40 წლამდე ჟურნალისტს. აუცილებელია გერმანულის კარგად ცოდნა. სემინარის მიზანია - უცხოელ ჟურნალისტებს მისცეს საშუალება, გაეცნონ გერმანელი კოლეგების ნამუშევრებს და განამტკიცოს ჟურნალისტებს შორის პროფესიული კავშირები. მონაწილეებს მგზავრობის, კვების და საცხოვრებლის ხარჯებს აუნაზღაურებენ. სემინარი გაიმართება 16-27 სექტემბერს ლეიბციგში, გერმანია.

დეტალები: <http://www.ssm-seminar.de>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2 აგვისტო 2019 წ.

16. საერთაშორისო შემოქმედებითი კონკურსი Open Eurasia

Open Eurasia არის ყოველწლიური საერთაშორისო შემოქმედებითი კონკურსი, რომელიც იმართება ჟურნალისტებს, მწერლებს, პოეტებს, ვიდეოგრაფებს, ილუსტრატორებს შორის. საპრიზო ფონდი შეადგენს 31 000\$. გამარჯვებულებს შეუძლიათ არა მხოლოდ უფასოდ გამოსცენ წიგნი, არამედ მოაწყონ მისი პრეზენტაცია Open Eurasian Book Forum & Literature Festival ფარგლებში 2020 წელს. ნამუშევრები მიიღება ონლაინ ინგლისურ, ყაზახურ, რუსულ, ყირგიზულ, უზბეკურ, ტაჯიკურ და ბელარუსულ ენებზე- კატეგორიის მიხედვით.

კონკურსზე თითო კატეგორიაში თითო განაცხადის წარდგენა შეიძლება. კატეგორიები: პროზა, პოეზია, ლიტერატურული თარგმანი, ილუსტრაცია, ვიდეო ფილმი, პუბლიცისტიკა.

დეტალები: <http://www.awardslondon.com/uslovia>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 15 სექტემბერი 2019 წ.

17. სახელოსნო სოც. ქსელებისთვის ვიდეო რგოლების შესაქმნელად

გეოგრაფია: აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო

პროგრამაში მონაწილეობისათვის განაცხადების წარდგენა შეუძლიათ სამოქალაქო აქტივისტებს, ჟურნალისტებსა და ბლოგერებს, 18-დან 26 წლამდე. “ლვოვის ვიდეოქუესთი 2019“ ორგანიზებულია უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის სკოლის, ლვოვის მედიაფორუმისა და პრადის სამოქალაქო ცენტრის მიერ. კურსი გაიმართება 18-27 აგვისტოს ლვოვში. მონაწილეები შეისწავლიან სოციალური ქსელისათვის მოკლე ვიდეოების გადაღებას. პროგრამა მოიცავს ვიდეო გადაღების, მონტაჟის და ეფექტური თანმხლები ტექსტების მომზადების სრულ კურსს. სამუშაო ენებია რუსული და ინგლისური. ორგანიზატორები ფარავენ ფრენის, საცხოვრებლის, კვების და სწავლების ხარჯს.

დეტალები: <https://bit.ly/2wx5U2k>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 20 ივნისი 2019 წ.

18. ესების და ბლოგების კონკურსი “პენიტენციური და პრობაციის სისტემა დღეს“

გეოგრაფია: საქართველო

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის «პენიტენციური და პრობაციის რეფორმების ხელშეწყობა და მონიტორინგი სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით» ფარგლებში, ორგანიზაცია «ციხის საერთაშორისო რეფორმის» სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისი აცხადებს კონკურსს სტუდენტებისთვის. მისი მიზანია გამოავლინოს საუკეთესო ნაშრომები, «პენიტენციურ და პრობაციის სისტემაში არსებული პროგრესის, არსებული ტენდენციების და გამოწვევების თაობაზე. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ამ სფეროს მიმართ სტუდენტებში ინტერესის და გათვითცნობიერების ზრდას.

დეტალები: <https://www.penalreform.org/resource>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 30 ივნისი 2019 წ.

19. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აცხადებს საგრანტო კონკურსს, „თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის“ პროგრამის ფარგლებში

საგრანტო პროგრამა განკუთვნილია საქართველოში რეგისტრირებული იმ დამწყები კერძო და მცირე საწარმოებისთვის, რომელთა რეგისტრაციიდან ორ წელზე ნაკლებია გასული. განაცხადის შემოტანა ასევე შეუძლიათ რეგისტრაციის არმქონე ფიზიკურ პირს ან ფიზიკურ პირთა ჯგუფს. პროექტი არ აკონკრეტებს, მაგრამ არ გამორიცხავს მედია ორგანიზაციების მონაწილეობას.

თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ფარგლებში გაცემული დაფინანსება განკუთვნილია მაქსიმუმ ერთწლიანი პროექტებისათვის და არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის, 90 პროცენტს და 100'000 ლარს.

დეტალები: <https://grants.gov.ge/en/Grants?call=165&fbclid=IwAR0EynktcUGwNoL6xFWMWqbhUbpZOc79VsXKoUaRMnTpW6lEInwKrkra6x0>

განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 30 ივლისი 2019 წ.

20. ჟურნალისტური ნამუშევრების კონკურსი

გეოგრაფია: საქართველო

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი აცხადებს კონკურსს საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრის გამოსავლენად, ზრდასრულთა განათლების თემაზე. ზრდასრულთა განათლების კონკურსის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ზრდასრულთა განათლების (ფორმალური და არაფორმალური) შესახებ.

ონკურსში განსახილველად მიიღება, 2019 წლის იანვრიდან 2019 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით ტელე-რადიო სიუჟეტი ან რეპორტაჟი, ბეჭდვით, ელექტრონულ მედიაში გამოქვეყნებული პუბლიკაცია(სტატია, ესსე) ან ფოტო-რეპორტაჟი თემაზე: „საქართველოს განათლების რეალობა და პრობლემები“.

კონკურსში გამარჯვებულისათვის საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელმა დააწესა ჯილდო - 1000 ლარი .

იხილეთ დაწვრილებით: <http://www.gaen.org.ge> და info@gaen.org.ge

© Baltic Centre for Media Excellence, 2019.

ბიულეტენი შედგენილია დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ გავრცელების საფუძველზე.

შემდგენები: ალინა რუდინა, არშალუს მურადიანი, დიანა ხოდულინა, ევგენია ოლინიკი, კატრინა ტეტერე-ფროლევა, მარტინშ მურნიეკსი, ნაილია ალიევა, თამარ ხორბალაძე, ვიქტორ გოტისანი.

მასალების ქართულენოვანი თარგმანი უზრუნველყოფილია BCME -ს წევრი ჟურნალისტიკის რესურსცენტრის მიერ- JRC. BCME თარგმანის კორექტულობაზე პასუხისმგებლობას არ იღებს. ინფორმაცია დონორების და საგრანტო პროგრამების შესახებ არ არის ამოწურვადი. შემდგენლები იტოვებენ უფლებას შეარჩიონ მეტად მნიშვნელოვანი ასპექტები ბიულეტენში გამოსაქვეყნებლად. BCME გირჩევთ საპროექტი განაცხადების, დონორებთან კომუნიკაციისას ან სხვა საკითხების დროს, იხელმძღვანელოთ ბიულეტენში მითითებული პირველადი წყაროებით.

ბიულეტენში გამოყენებულია მასალები შემდეგი წყაროებიდან:

- nationalgeographic.org
- perspektivy.media
- journalismforum.ca
- firenewsroom.org
- worldlearninginnovanddev.wufoo.com
- careyinstitute.org
- m100potsdam.org
- fes-dee.org
- media-summer-school.lv
- adamimediaprize.eu
- theglobepost.com
- nationalgeographic.org
- journalismfund.eu
- youth4regions.win
- ssm-seminar.de
- awardslondon.com
- ijn.net.org
- penalreform.org
- grants.gov.ge
- gaen.org.ge